

თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლების საერთაშორისო  
სტანდარტები

თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მიხედვით

[3. მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ, მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე:] ... f) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ვერ საუბრობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე;

*სამოქალაქო და პოლიტიკური  
უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-14 მუხლი, მე-3(f) პუნქტი.*

[3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, როგორც მინიმუმ, შემდეგი უფლებები:] ... ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ვერ საუბრობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე;

*ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა  
დაცვის კონვენცია, მე-6 მუხლი, მე-3(e) პუნქტი.*

საინტერესოა, რომ აღნიშნული ნორმა ეხება არა მარტო თარჯიმანს, არამედ მთარგმნელსაც, რომელიც უფრო წერილობით მუშაობს, ვიდრე ზეპირად. ეს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციის დროს თარჯიმნის დახმარებით.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009წ., თბილისი, 347გვ.

რაც შეეხება ევროკავშირის სამართალს<sup>2</sup>, ევროკავშირის ადამიანის ძირითადი უფლებების ქარტიის 47-ე მუხლი ადგენს „ნამდვილი გასაჩივრებისა და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებას“: „...ნებისმიერ პირს აქვს უფლება, რომ მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა და მანამდე კანონით ჩამოყალიბებულმა სასამართლომ საჯაროდ, სამართლიანი წარმოებისა და გონივრული ვადის ფარგლებში. ნებისმიერმა პირმა შეიძლება მიიღოს კონსულტაციები, მოითხოვოს დაცვა და ინტერესების წარმომადგენლობა. პირებს, რომელთაც არ აქვთ საკმარისი სახსრები, აღმოუჩენენ საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას, თუ ეს დახმარება აუცილებელია სასამართლოს ხელმისაწვდომობის ნამდვილობის უზრუნველსაყოფად“. ევროკავშირის ადამიანის ძირითადი უფლებების ქარტიის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი უფრო უნივერსალურია და სიღრმისეულად ფორმულირებული, ვიდრე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებები. მათ აქვთ განმარტების უფრო მეტი პოტენციალი ევროპული და საერთაშორისო სასამართლოების სამომავლო განმარტებისათვის.<sup>3</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონკრეტულად თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის უფლება ასევე უზრუნველყოფილია ევროპის კავშირის ”პროცედურულ უფლებათა შესახებ გზამკვლევის” დირექტივით, თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის უფლების შესახებ დირექტივის საფუძველზე.<sup>4</sup> დირექტივის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების დასაცავად, უნდა უზრუნველყონ ეჭვმიტანილი თუ ბრალდებული, რომელიც ვერ საუბრობს და უჭირს აღიქვას სისხლის სამართალწარმოების ენა, ყველა საჭირო დოკუმენტის წერილობითი თარგმანით.<sup>5</sup>

---

<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან ჰარმონიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით, ევროკავშირის სტანდარტების მიმოხილვა

<sup>3</sup> კონსტანტინე კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, 2014წ., თბილისი, 18გვ.

<sup>4</sup> ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2010 წლის 20 ოქტომბერის 2010/64/EU დირექტივა სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის უფლების შესახებ. იხ. თავი I, ნაწილი 4.3.2

<sup>5</sup> ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2010 წლის 20 ოქტომბერის 2010/64/EU დირექტივა სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმნის მომსახურებისა და თარგმნის უფლების შესახებ. მუხლი 3 (1)

თარჯიმნით სარგებლობის უფლება არის არა მხოლოდ დაცვის უფლება, არამედ მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების აუცილებელი წინაპირობაც. თარჯიმნის მომსახურებით დაინტერესებული სამართალწარმოების ყველა მონაწილე, მათ შორის პროკურორი, სამოქალაქო მოსარჩელე და თავად სასამართლოც. თარჯიმნის უფლება ექვემდებარება მხოლოდ ერთ მოთხოვნას. სახელდობრ, იმას, რომ პირმა, რომელსაც არ ესმის სამართალწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის დახმარებით მიმდინარე სასამართლო სამართალწარმოებისას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ მე-6 მუხლის მე-3 (e) პუნქტი უზრუნველყოფს თარჯიმნის უფასო დახმარებას. თარჯიმნის მომსახურების ხელმისაწვდომობის უფლება არა მხოლოდ სასამართლოში გაკეთებულ ზეპირ განცხადებებზე ვრცელდება, არამედ ნებისმიერ დოკუმენტაციასთან და წინასასამართლო პროცესთან მიმართებაშიც<sup>6</sup>. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ბრალდებული, რომელსაც არ ესმის ან ვერ საუბრობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე, უფლებამოსილია, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით უფასოდ, ასევე იმ დოკუმენტაციისა თუ განცხადებების შემთხვევაში რომლებიც საჭიროა პროცესისათვის (მათ შორის, თარჯიმნა სასამართლო ენაზე) ან აუცილებელია მისთვის პროცესის გასაგებად და სამართლიანი სასამართლოსათვის.<sup>7</sup> ამასთან, სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილი თარჯიმნის მომსახურება შესაძლებლობას უნდა აძლევდეს ბრალდებულს, შეიტყოს მის წინააღმდეგ არსებული ბრალის შესახებ, დაიცვას თავი და ამისათვის გააჩნდეს სასამართლოსთვის მოვლენების მისეული ვერსიის მიწოდების შესაძლებლობა.<sup>8</sup>

როდესაც ბრალდებული ნაწილობრივ ფლობს სამართალწარმოების ენას ამ უფლებაზე უარის თქმა შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს. იგივე წესი გამოიყენება, თუ უარის თქმა ეხება კონკრეტული დოკუმენტის თარჯიმნის უფლებას იმის გამო, რომ ბრალდებულისთვის ცნობილია მისი შინაარსი<sup>9</sup>. თუმცა სასამართლოს შეუძლია, უფლებაზე უარის თქმის მიუხედავად, მაინც

<sup>6</sup> Luedicke, Belkacem and Koç v. Germany, № 6210/73; 6877/75; 7132/75, § 48, ECHR 1978; Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 74, ECHR 1989; Hermi v. Italy, №18114/02, §69, ECHR 2006

<sup>7</sup> Luedicke, Belkacem and Koç v. Germany, № 6210/73; 6877/75; 7132/75, § 48, ECHR 1978;

<sup>8</sup> Güngör v. Germany (dec.), № 31540/96, ECHR 2001

<sup>9</sup> Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 80, ECHR 1989

დანიშნოს თარჯიმანი. ბრალდებული შეიძლება პოლიტიკური მოტივით უარს ამბობდეს თარჯიმნის დახმარებაზე, როდესაც მას სურს სასამართლოში საქმის განხილვა უმცირესობის ენაზე. ასეთ დროს სასამართლო ვალდებულია, დანიშნოს თარჯიმანი ex officio, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვა.

„თარჯიმნის დახმარების მოთხოვნა, პირველ რიგში, ბრალდებულს ევალება“.<sup>10</sup> აღნიშნული მიდგომა სადავოა სპეციალურ ლიტერატურაში. თუმცა გარკვეულ შემთხვევაში საჭიროა, რომ თავად ბრალდებულმა გამოხატოს უკმაყოფილება იმ ფაქტის გამო, რომ მას არ ესმის სასამართლო განხილვის შინაარსი. ბრალდებული ასევე უნდა ჩაერიოს, თუ შეამჩნევს, რომ თარჯიმანი არაადეკვატურია. თუმცა სასამართლო ვალდებულია, მოახდინოს რეაგირება ex officio, თუ თარჯიმანის შეუსაბამობა მნიშვნელოვანი და აშკარაა.<sup>11</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, მოსამართლე, „როგორც სამართლიანობის ერთადერთი მცველი“, ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ ბრალდებულს არ შეექმნას დაბრკოლებები თარჯიმანის არარსებობის გამო.<sup>12</sup> ერთ-ერთ საქმეში დამცველმა განაცხადა, რომ დაცვას არ სჭირდებოდა თარჯიმნის დანიშვნა, თუმცა სასამართლომ მაინც დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა იმავე მუხლის მე-3(e) პუნქტთან კავშირში. სასამართლოს განცხადებით, „მოსამართლეს ეკისრებოდა ვალდებულება ... დარწმუნებულიყო იმაში, რომ 1996 წლის 26 იანვარს თარჯიმნის არყოფნა სასამართლო განხილვაზე არ ხელყოფდა განმცხადებლის სრულფასოვან მონაწილეობას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკითხებში“<sup>13</sup>

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის e ქვეპუნქტმა, რადგან ეხება „სასამართლოში გამოყენებულ ენას“, შესაძლოა დატოვოს შთაბეჭდილება, რომ თარჯიმნის დახმარების გარანტია უკავშირდება მხოლოდ სასამართლო განხილვას და არა

---

<sup>10</sup> სტავროსი (1993) 257; ავტორი აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმ სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც ემყარებოდა ბრალდებულის მოთხოვნას. იხ. Griffin v. Spain, § 9.5.

<sup>11</sup> Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 74, ECHR 1989

<sup>12</sup> Cuscani v. United Kingdom, № 32771/96, § 38-40, ECHR 2001

<sup>13</sup> Cuscani v. United Kingdom, № 32771/96, § 38, ECHR 2001

წინასასამართლო სამართალწარმოებას. ამგვარი ინტერპრეტაცია წარმოადგინა გერმანიის მთავრობამ საქმეში *ლოდიკე, ბელკაცემი და კოჩი გერმანიის წინააღმდეგ* (Luedicke, Belkacem and Koç v. Germany) რაც სრულიად მართებულად იქნა უარყოფილი სასამართლოს მიერ<sup>14</sup>. *კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ* (Kamasinski v. Austria) საქმეში სასამართლომ საკმაოდ მკაფიოდ განაცხადა, რომ ბრალდებულის უფლება, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, ასევე გამოიყენება წინასასამართლო სამართალწარმოების დროს.<sup>15</sup>

ადამიანის უფლებათ ევროპული სასამართლოს განცხადებით, კონვენციის მე-6 მუხლი ვერ აუკრძალავს ადამიანს, უარი თქვას თავისუფალ და სამართლიან სასამართლოზე. თუმცა, კონვენციის მიზნებისათვის უარი ნათლად უნდა იყოს გამოხატული და თან ახლდეს მისი მნიშვნელობის თანაზომიერი მინიმალური დაცვის მექანიზმები. ამასთან, ეს უარი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს.<sup>16</sup>

„Ratione materiae“: თარგმნის ობიექტები

თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლებასთან კავშირში ცნება „ratione materiae“ მოიცავს თარგმნის განსხვავებულ ობიექტებს: (ა) სასამართლო განხილვა, (ბ) წინასასამართლო სამართალწარმოება, (გ) დოკუმენტები და (დ) დამცველთან ურთიერთობა

### (ა) თარგმნა სასამართლო განხილვის დროს

როგორც მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის e ქვეპუნქტი მიუთითებს, თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება წარმოიქმნება უმთავრესად სასამართლო განხილვის დროს. ეს შეეხება როგორც პირველი ინსტანციით, ისე ზემდგომ ინსტანციაში საქმის განხილვას. აუცილებელი არ არის, რომ თარგმანი იყოს

<sup>14</sup> Luedicke, Belkacem and Koç v. Germany, № 6210/73; 6877/75; 7132/75, § 48, ECHR 1978

<sup>15</sup> Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 74, ECHR 1989

<sup>16</sup> ბესარიონ ბოხაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ირაკლი ყანდიაშვილი, ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016წ. 26გვ.

სინქრონული. შემდგომი თარგმანიც დასაშვებია<sup>17</sup>. ცხადია, რომ თარგმნის მომსახურება საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მონაწილეობას იღებს სასამართლო განხილვაში. კომისიის აზრით, ადგილი არა აქვს იმ ბრალდებულის უფლების დარღვევას, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და რომელსაც დაეკისრა გამოძახებული თარგმნის ხარჯების ანაზღაურება<sup>18</sup>.

ჩვეულებრივ, უნდა ითარგმნოს მთლიანი სასამართლო განხილვა და არა მხოლოდ ბრალდებულისთვის დასმული კითხვები და მისი პასუხები<sup>19</sup>. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავიდან ბოლომდე თვალ-ყური ადევნოს სასამართლო განხილვას და გაიგოს თითოეული წინადადების აზრი, იმ შემთხვევაშიც, თუ მას პირდაპირ არ უკავშირდება. *კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ* (Kamasinski v. Austria) საქმეში განმცხადებელმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ მოწმისათვის დასმული კითხვები მას არ უთარგმნეს. სასამართლომ აღნიშნა, „რომ თავისთავად, ეს ფაქტი არ განაპირობებს d და e ქვეპუნქტების დარღვევას“<sup>20</sup>. ასეთი დასკვნა ემყარება გარანტიის ფარდობით ხასიათს. განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა, რომ შეკითხვების თარგმანზე უარის ფაქტმა ხელი შეუშალა დაცვის ეფექტიან განხორციელებას. სასამართლოს მიდგომა არ იმსახურებს მოწონებას.<sup>21</sup> ბრალდებულს უნდა ესმოდეს მოწმისათვის დასმული კითხვების შინაარსი, რადგან სხვაგვარად შეუძლებელი იქნება მისი პასუხების შეფასება. გარდა ამისა, დაკითხვის წარმართვის წესი ჩვეულებრივ გასთქვამს კითხვების დამსმელი პირის მოსაზრებას საქმესთან დაკავშირებით, რომელიც სამართლის კონტინენტურ სისტემაში ხშირად სასამართლოს თავმჯდომარეა. სასამართლოსთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ გარემოების შესახებ, რადგან ძალზე ბუნდოვნად აღიარა, რომ თარგმანთან დაკავშირებული ხარვეზი „არის ერთ-ერთი, განსახილველ საკითხებს შორის“. *კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ* (Kamasinski v. Austria) საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ

<sup>17</sup> Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 83, ECHR 1989

<sup>18</sup> Fedele v. The Federal Republic of Germany, №11311/84, ECHR 1987

<sup>19</sup> შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 355გვ.

<sup>20</sup> Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 83, ECHR 1989

<sup>21</sup> შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 355გვ.

სასამართლო განხილვის დროს დაცვას არ გაუპროტესტებია თარგმანის არაადეკვატურობა.

## (ბ) თარგმნა წინასასამართლო სამართალწარმოების დროს

თარჯიმნის მომსახურებით უფასო სარგებლობის უფლება, ასევე გამოიყენება წინასასამართლო სამართალწარმოების დროს. ამის შესახებ სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა *კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ* (Kamasinski v. Austria) საქმეში<sup>22</sup>. აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო სამართალწარმოების მნიშვნელობა შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში. გაუმართლებელ უთანასწორობას ექნებოდა ადგილი, თუ იმ ქვეყანაში, სადაც მტკიცებულებების მოპოვება იწყება წინასასამართლო ეტაპზე, ბრალდებულს უნდა აენაზღაურებინა თარჯიმნის დახმარება, ხოლო სხვა ქვეყანაში, სადაც მტკიცებულებების შემოწმება ხორციელდება სასამართლო პროცესზე, მას არ მოუწევდა თარჯიმნის ხარჯების დაფარვა. *ლოდიკე, ბელკაცემი და კოჩი გერმანიის წინააღმდეგ* (Luedicke, Belkacem and Koç v. Germany) საქმეში სასამართლომ განსაზღვრა მრავალი ისეთი შემთხვევა, როდესაც თარჯიმნის უფასო დახმარება უნდა იყოს ხელმისაწვდომი: მოსამართლის წინაშე წარდგენა<sup>23</sup>, პატიმრობის საკითხის განხილვა<sup>24</sup>, საბრალდებო დასკვნის თარგმნა<sup>25</sup>. ამასთან, როგორც ადვოკატის შემთხვევაში, თარჯიმანიც გამოძიების საწყისი ეტაპიდანვე უნდა იყოს ხელმისაწვდომი გარდა იმ შემთხვევისა, თუკი შესაძლებელია ამ უფლების შეზღუდვის მაიძულებელი მიზეზების არსებობის დასაბუთება<sup>26</sup>. ამასთან, უნდა არსებობდეს საკმარისი გარანტიები, რომ ბრალდებულისათვის მიწოდებული თარგმანი ადეკვატური და ზუსტია.<sup>27</sup>

<sup>22</sup> Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 74, ECHR 1989

<sup>23</sup> მუხლი 5(3), „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, 1950წ.

<sup>24</sup> მუხლი 5(4), „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, 1950წ.

<sup>25</sup> მუხლი 6.3.a, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, 1950წ; Luedicke, Belkacem and Koç v. Germany, № 6210/73; 6877/75; 7132/75, § 49, ECHR 1978

<sup>26</sup> Diallo v. Sweden (dec.), №13205/07, § 25, ECHR 2010

<sup>27</sup> 37. Cuscani v. the United Kingdom, №32771/96, § 38, ECHR 2002

### (გ) დოკუმენტების თარგმნა

კავშირი წერილობით და ზეპირ მტკიცებულებებს შორის შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს სხვადასხვა იურისდიქციებში. თარჯიმნის უფასო დახმარების უფლებიდან მათი ამოღება გაუმართლებელ უთანასწორობას გამოიწვევდა.<sup>28</sup> ცხადია, რომ კონტინენტური სისტემისთვის დამახასიათებელ სამართალწარმოებაში, სადაც საქმის მასალები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თარჯიმნის უფასო მომსახურებით სარგებლობის უფლება ასევე უნდა მოიცავდეს დოკუმენტების უფასოდ თარგმნის უფლებასაც. სასამართლომ ეს აღიარა *ლოდიკე, ბელკაცემი და კოჩი გერმანიის წინააღმდეგ* (Luedicke, Belkacem and Koç v. Germany) საქმეში<sup>29</sup> და დაადასტურა *კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ* (Kamasinski v. Austria) საქმეში<sup>30</sup>. თუმცა წერილობით მასალებთან დაკავშირებით მაინც ვაწყდებით გარკვეულ შეზღუდვებს. სათარგმნი მასალების ნუსხაში შედის სისხლის სამართალწარმოებასთან კავშირში მყოფი არა ყველა, არამედ მხოლოდ ის დოკუმენტები, რომლის შინაარსის გაგება და სასამართლოს ენასთან შეგუებაც აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით სარგებლობისათვის<sup>31</sup>. აქ განმცხადებელს ექმნება პრობლემები. მან უნდა დაამტკიცოს, რომ მას ან მის დაცვას ხელი შეეშალა იმ ფაქტის გამო, რომ რამდენიმე დოკუმენტი არ იქნა ნათარგმნი. *კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ* (Kamasinski v. Austria) საქმეში, განმცხადებელს არ უთარგმნეს ის განაჩენი, რომლის გასაჩივრებასაც აპირებდა. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „მისთვის მიცემული ზეპირი განმარტებების შედეგად, [განმცხადებელმა] საკმარისად კარგად გაიგო განაჩენის შინაარსი და არგუმენტაცია, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა დამცველის დახმარებით შეედგინა სააპელაციო საჩივარი სასჯელის წინააღმდეგ და განცხადება გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რომლითაც ასაჩივრებდა სასამართლო განხილვისა და განაჩენის მრავალ ასპექტს“<sup>32</sup>. სტავროსი მართებულად

<sup>28</sup> შტეფან ტრესელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009წ., 356გვ.

<sup>29</sup> Luedicke, Belkacem and Koç v. Germany, № 6210/73; 6877/75; 7132/75, § 48, ECHR 1978

<sup>30</sup> Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 74, ECHR 1989

<sup>31</sup> Luedicke, Belkacem and Koç v. Germany, № 6210/73; 6877/75; 7132/75, § 48, ECHR 1978; Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 74, ECHR 1989

<sup>32</sup> Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 85, ECHR 1989



შენიშნავს<sup>33</sup>, რომ გადაწყვეტილების თარგმანი აუცილებელია, სულ მცირე მაშინ, როდესაც არსებობს მისი გასაჩივრების შესაძლებლობა.<sup>34</sup> ის ფაქტი, რომ ვერდიქტი არ ითარგმნა, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლს, თუკი ბრალდებულს შეუძლია ჯეროვნად გაიაზროს ვერდიქტი და შესაბამისი არგუმენტაცია. ევროპის კავშირის დირექტივა თარჯიმნით მომსახურებისა და თარგმნის შესახებ აგრეთვე განსაზღვრავს დოკუმენტებს, რომლებიც უნდა ითარგმნოს და "მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ [ექვმიტანილმა ან ბრალდებულმა პირმა] შეძლოს მისი დაცვის უფლების გამოყენება და დაცულ იქნეს პროცესის სამართლიანობა" (მე-3(1) მუხლი). ეს დოკუმენტები უნდა მოიცავდეს „ნებისმიერ გადაწყვეტილებას პირის თავისუფლების აღკვეთის შესახებ და ასევე ნებისმიერ ბრალდებას...“, ასევე, *კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ* (Kamasinski v. Austria) საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების საპირისპიროდ „...ნებისმიერ გადაწყვეტილებას“ (მე-3(2) მუხლი). ძირითადი დოკუმენტების ზეპირი თარგმანი, ან ზეპირი შეჯამება დაშვებულია, თუ ეს არ უქმნის საფრთხეს პროცესის სამართლიანობას (მე-3(7) მუხლი). იმის გათვალისწინებით, რომ დირექტივაში არ არსებობს დებულება ამ უფლებაზე უარის თქმის შესახებ, ის ითვალისწინებს, რომ თარგმნის უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ექვმიტანილი ან ბრალდებული პირი მიიღებს წინასწარ იურიდიულ რჩევას, ან სხვაგვარად „იქნება სრულად ინფორმირებული უარის თქმის შედეგების შესახებ“ და აღნიშნული უარი ნათლად და ნებაყოფლობით იქნება გამოხატული (მე-3(8) მუხლი).<sup>35</sup>

თუ ცნობილია ან არსებობს საკმარისი საფუძვლები იმისათვის, რომ ბრალდებულმა სათანადოდ არ იცის ის ენა, რომელზეც ინფორმაცია მიწოდებული, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ თარგმანი.<sup>36</sup> კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის a ქვეპუნქტი არ აკონკრეტებს თუ როგორ უნდა მოხდეს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება-წერილობით თუ ნათარგმნი წერილობითი ფორმით უცხოელი მოპასუხისათვის, რომელმაც არ

<sup>33</sup> შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009წ., 356 გვ.

<sup>34</sup> სტავროსი (1993) 254 და 255

<sup>35</sup> ედ კეიპი, ზაზა ნამორაძე, ევექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში, თბილისი, 2015წ., 73გვ.

<sup>36</sup> Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, CoE, 2014, p.42

იცის სამართალწარმოების ენა და შესაბამისად არახელსაყრელ პირობებში იქნება, თუ არ მოხდება მისი უზრუნველყოფა საბრალდებო დასკვნის თარგმნით.<sup>37</sup>

### (დ) დამცველთან ურთიერთობა

დამცველთან ურთიერთობა რადგან თარჯიმნის დახმარება აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების განხორციელებისთვის, მისი მომსახურება შესაძლოა ასევე საჭირო იყოს იმისათვის, რომ ბრალდებულს მიეცეს თავის დამცველთან კომუნიკაციის საშუალება. ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიქი სწორად აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ისინი ნიშნავენ დამცველს, რომელიც არ ფლობს თავისი კლიენტის ენას.<sup>38</sup> ეს მოსაზრება ნაწილობრივ დასტურდება სასამართლოს გადაწყვეტილებით *ლაგერბლუმი შვედეთის წინააღმდეგ* (Lagerblom v. Sweden) საქმეში.<sup>39</sup> ამ საქმეში განმცხადებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მას არ დაენიშნა მისი ენის, ფინურის მცოდნე დამცველი ხელისუფლების ორგანოების მიერ. სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა და თავისი დასკვნა დაასაბუთა იმით, რომ განმცხადებელს ესმოდა და საუბრობდა „ყოველდღიურ შვედურ ენაზე“. შესაბამისად, მან ჩათვალა, რომ „განმცხადებლის ენობრივი შესაძლებლობები საკმარისი იყო [სახელმწიფოს მიერ დანიშნულ დამცველთან] კომუნიკაციისთვის ან მისი საუბრის გასაგებად“. ეს ნიშნავს, რომ კომუნიკაციის შეუძლებლობის შემთხვევაში იარსებებდა თარჯიმნის ყოლის ან დამცველის გამოცვლის უფლება. ასეთი გამოსავალი მისაღებია იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო განხილვისგან განსხვავებით,

<sup>37</sup> Hermi v. Italy [GC], №. 18114/02, § 68, ECHR 2005; Kamasinski v. Austria, № 9783/82, § 79, ECHR 1989

<sup>38</sup> Harris, O'Boyle & Wardbrick, Law of the European Convention on Human Rights, 1995, 271p.

<sup>39</sup> Lagerblom v. Sweden, № 26891/95, ECHR 2003

ბრალდებულსა და დამცველს შორის საუბარი გაცილებით არაფორმალური ხასიათისაა, სადაც შესაძლებელია იმ ფრაზის გამეორება, რომელიც მეორე მხარემ ვერ გაიგო.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმის<sup>40</sup> მე-15 მუხლის (საპროცესო დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ენა) მიხედვით: „საპროცესო დოკუმენტები და სასამართლო გადაწყვეტილებები ყველა შემთხვევაში გადაიცემა იმ ენაზე ან იმ ენებზე, რა ენაზეც ისინი არის შედგენილი...თუ დოკუმენტის გამომცემ ორგანოს აქვს ვარაუდის საფუძველი, რომ ადრესატი ფლობს სხვა ენას, დოკუმენტებს ან სულ ცოტა მათი მნიშვნელოვან ნაწილებს თან სდევს თარგმანი ამ ენაზე...საპროცესო დოკუმენტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს თან სდევს მოკლე რეზიუმე თავის შინაარსთან ერთად, რომელიც ნათარგმნია მხარის ერთ-ერთ ენაზე, მოთხოვნის მიმღები მხარის მოხერხებულობისთვის“. აღნიშნული დებულებები მოქმედებს სასამართლოს მიერ დოკუმენტების ფოსტით გაგზავნის შემთხვევაშიც (მუხლი 16).

### **თარჯიმნის დახმარებით სარგებლობის უფლება და მათი კვალიფიკაცია ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით**

საქართველოში საერთო სასამართლოებში საქმის წარმოებისას, სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს ავალდებულებს უზრუნველყოს სახელმწიფო ენის არმცოდნე პირებისათვის თარჯიმნის ინსტიტუტით სარგებლობის უფლება.<sup>41</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი უნდა წარიმართოს ქართულ ენაზე. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასევე დაშვებულია აფხაზური ენის გამოყენება. ამავე კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, რომელიც ვერ ფლობს ან არასათანად ფლობს წარმოების ენას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმნის დახმარებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ დაკავების მომენტში ან თუ დაკავება არ ხდება – ბრალდებულად

<sup>40</sup> საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი 01.05.2014

<sup>41</sup> საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი

ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. ბრალდებულს უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის ან, თუ ის არ დაუკავებიათ, ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი.

ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს, გარდა ამისა, კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, თარჯიმანს იძახებენ, როდესაც: ა) პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; ბ) საჭიროა, სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი. ექსპერტთა დაკვირვებით, პრაქტიკაში როგორც დედაქალაქში (თბილისში), ასევე საქართველოს რეგიონებში შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთავარი პროკურატურა გარე თარჯიმნებს ქირაობენ და ოფიციალურად შედგენილი აქვთ კომპეტენტური და აკრედიტირებული მთარგმნელობითი ფირმების სია, რათა საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდნენ. თუმცა, ამ ფირმებს მომსახურეობისათვის უმეტესად იმ შემთხვევებში მიმართავენ, როდესაც დაკავებული ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან რუსულად საუბრობს. აზერბაიჯანული ან სომხური ენის თარჯიმნის შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურეობების მიწოდება, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში გარკვეულ ხარვეზებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემა მაშინ წარმოიშვება, როდესაც დაკავებული ან მოწმე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის (აზერბაიჯანელები, სომხები) წარმომადგენელია და მხოლოდ მშობლიური ენა იცის. კვლევის თანახმად, მსგავს შემთხვევებში, თარჯიმანთა ბიუროების გამოყენება არ ხდება.

ექსპერტების დასკვნით, გამომძიებლებს სათანადო სისტემა არ აქვთ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და საჭიროების მიხედვით ეძებენ აზერბაიჯანული ან სომხური ენის მცოდნე თარჯიმნებს ანაზღაურების გარეშე, რათა დაეხმარონ გამოძიების პროცესში. ხშირად პოლიციის მოხელეები აზერბაიჯანული ან სომხური ენის მცოდნე პირებს, რომლებიც ასევე ქართულ ენაზეც საუბრობენ, ბაზარში ან ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ეძებენ (ადგილისა და რეგიონის მიხედვით). სასურველ ენაზე მოსაუბრე პირს ბრალდებულს ან მოწმეს სთავაზობენ თარჯიმნად და, თანხმობის შემთხვევაში, ეს პიროვნება ასრულებს თარჯიმნის ფუნქციებს. მართალია, ამ შემთხვევაში პოლიციის ოფიცრები და გამომძიებლები ასრულებენ საკუთარ

ვალდებულებას პირის თარჯიმნით უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. ძირითადად პოლიციას თარჯიმანი მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ კოდექსის მოთხოვნა დააკმაყოფილოს და არა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბრალდებულს ან მოწმეს ესმოდეს უფლებები და ეფექტურად ისარგებლოს საპროცესო გარანტიებით. ასეთ შემთხვევებში, სამწუხაროდ, პრობლემას ის ფაქტიც ართულებს, რომ პოლიციას არ გააჩნია თარჯიმნის ან თარგმანის ხარისხის შემოწმების მექანიზმი. სამართლებრივი ტერმინებისა და მათი რეალური მნიშვნელობის სირთულიდან გამომდინარე, ძალიან დიდია ალბათობა, რომ ბრალდებულმა არასწორად გაიგოს რამე. ამან პოტენციურად შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბრალდებულზე ან მოწმეზე პირველ რიგში მისი უფლებების და დაკავების მიზეზების გაგების კუთხით, და, მეორე რიგში, სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნას ეფექტურ დაცვას სისხლის სამართლის პროცესში მოგვიანებით. თარჯიმნის მომსახურების ვერ უზრუნველყოფის შემთხვევაში შესაძლო სანქციები ან შედეგები განსაზღვრული არ არის, თუმცა ასეთ შემთხვევაში, ლოგიკურად, იგივე შედეგი დადგება, რაც ბრალდებულისათვის მისი ბრალდებულად ცნობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის ან მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების არ გაცნობის შემთხვევაში დადგებოდა. ყველანაირი თარგმნის ხარჯი, იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი თარგმანი, საპროცესო ხარჯს განეკუთვნება და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ექსპერტს ან თარჯიმანს ანაზღაურება არ ეძლევა, თუ საქმიანობისათვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული აქვს ხელფასი. საპროცესო ხარჯების გადახდა მსჯავრდებულს ეკისრება მისი ან მისი ადვოკატის მიერ თარჯიმნის მოთხოვნის შემთხვევაში. სასამართლოს უფლება აქვს, გადახდისუუნარობის შემთხვევაში მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს მსჯავრდებული საპროცესო ხარჯების გადახდისგან.<sup>42</sup>

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 258-ე მუხლი არეგულირებს თარჯიმნის ინსტიტუტით სარგებლობის იმ შემთხვევებს, როდესაც ხდება სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული წარმოება. კოდექსის თანახმად, თარჯიმნის დანიშვნის უფლებამოსილება აქვს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომლის წარმოებაშიც იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, ხოლო თარჯიმნის ვალდებულებაა სრულფასოვნად შეასრულოს დაკისრებული დავალება.

---

<sup>42</sup> ბესარიონ ბოხაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ირაკლი ყანდიაშვილი, ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016წ. 26გვ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს თარჯიმნის მონაწილეობას სამოქალაქო საქმის განხილვის დროს. აღნიშნული წესები ვრცელდება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზეც. კერძოდ, სსკ-ს 9.4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება ქართულ ენაზე მიმდინარეობს, ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია ქართული ენის არმცოდნე პირს მიუჩინოს თარჯიმანი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას, ადგენს თარჯიმანთა საპროცესო უფლება-მოვალეობებზე, თუმცა კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თარჯიმნის კვალიფიკაციის ან თარგმნის ხარისხის შემოწმების მექანიზმს. თუ მხედველობაში მივიღებთ სამართლებრივი ტერმინებისა და მათი რეალური მნიშვნელობის სირთულეებს, ბუნებრივია, მივალთ დასკვნამდე, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თარჯიმანთა კვალიფიკაციას. სამართალწარმოების მონაწილისათვის აუცილებელია ჰქონდეს თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის არა ფორმალური უფლება, არამედ ამ საკანონმდებლო ჩანაწერის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა. სწორედ, კვალიფიციური და სრულფასოვანი თარგმანი უზრუნველყოფს, სამართალწარმოების მონაწილემ ადექვატურად აღიქვას პროცესის მიმდინარეობა და მოვლენების სწორი გააზრების საფუძველზე განსაზღვროს დაცვის სტრატეგია.

თარჯიმანთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შემდეგი რეგულაციების მიმოხილვა:

ევროკავშირის სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმნის უფლებისა და თარგმნის შესახებ 2010 წლის 20 ოქტომბრის 2010/64/EU დირექტივის მე-5 მუხლი არეგულირებს თარგმნის ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს. დირექტივის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ კონკრეტული ზომები თარგმნის სათანადო ხარისხის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ინტერპრეტაცია ან თარგმანი აკმაყოფილებს სათანადო ხარისხს, თუ იგი ხელს უწყობს სასამართლო პროცესის სამართლიანად წარმართვას, ბრალდებულის ან მსჯავრდებულისთვის ბრალდების შესახებ სრულფასოვანი ინფორმირების გზით. ადექვატური ინტერპრეტაციისა და თარგმნის, აგრეთვე, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღრიცხონ და შექმნან სათანადო კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელ თარჯიმანთა რეესტრი, რომელზე წვდომაც უნდა ჰქონდეს იურიდიული კომპანიებსა და შესაბამის უწყებებს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თარჯიმნებმა მკაცრად დაიცვან კონფიდენციალობა.

თარჯიმანთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები საკმაოდ მკაფიოდ არის გაწერილი ავსტრიის „სასამართლოს ფიცდადებულ, სერტიფიცირებულ ექსპერტთა და თარჯიმანთა“ შესახებ ფედერალურ კანონში.<sup>43</sup> სასამართლოს თარჯიმანთა რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტმა უნდა მიმართოს თავისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილსამყოფლის მიხედვით, შესაბამისი რაიონული სასამართლოს (პირველი ინსტანციის სასამართლოს) თავმჯდომარეს განცხადებით. თუ აპლიკანტს დამთავრებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თარჯიმნის სპეციალობით, მან რეგისტრაციის დროს უნდა წარადგინოს პროფესიული საქმიანობის 2-წლიანი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო სხვა შემთხვევაში, განმცხადებელს მოეთხოვება პროფესიული საქმიანობის 5-წლიანი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს თავმჯდომარე სარეგისტრაციო პროცედურის მსვლელობისას, იწვევს სპეციალურ ექსპერტს ან ექსპერტთა ჯგუფს განმცხადებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესამოწმებლად. აპლიკანტი ვალდებულია გადაიხადოს გამოცდის საფასური, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია ექსპერტთა რაოდენობაზე. (მაგალითად, გამოცდის საფასური შეადგენს 400 ევროს, ხოლო თუ შესაფასებლად მოწვეულია 3 ექსპერტზე მეტი, მაშინ გამოცდის საფასური იზრდება 100 ევროთი თითოეულ ექსპერტზე).

სასამართლოს თარჯიმანს მოეთხოვება გერმანული და სხვა უცხო ენის სრულყოფილად ცოდნა, ასევე, ის უნდა იცნობდეს ავსტრიისა და იმ ქვეყნის კანონმდებლობასა და სასამართლო პროცედურებს, სადაც ოფიციალურ ენად დადგენილია მის მიერ შერჩეული უცხო ენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ავსტრიის კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს თარჯიმანი ზედმიწევნით უნდა ფლობდეს სამართლებრივ ტერმინებსა და მათ მნიშვნელობას, როგორც გერმანულ, ასევე, მის მიერ შერჩეულ უცხო ენაზე. დამატებით, მათ მოეთხოვებათ სიღრმისეულად იცნობდნენ სამედიცინო, ტექნოლოგიურ და სხვა სფეროსთვის დამახასიათებელ ტერმინებს.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია სერტიფიცირებულ სასამართლო თარჯიმანთა ავსტრიის ასოციაციის როლი. ორგანიზაცია 1920 წლიდან მოყოლებული ორიენტირებულია ავსტრიაში სერტიფიცირებულ სასამართლოს თარჯიმანთა ინსტიტუტის გაუმჯობესებაზე. სწორედ, აღნიშნული ორგანიზაცია ასახელებს ექსპერტს ან ექსპერტებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აპლიკანტის საგამოცდო შეფასებაში. ის აწარმოებს სერტიფიცირებულ

---

<sup>43</sup> იხ. ვებ.გვერდი: <http://www.gerichtsdolmetscher.at/index.php/en/how-to-become-a-court-interpreter>

თარჯიმანთა რეესტრს და პერიოდულად მართავს ტრენინგებსა და სემინარებს ტერმინოლოგიებისა და საჭირო უნარ-ჩვევების შესახებ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალური აქტი<sup>44</sup> არეგულირებს სასამართლოს თარჯიმნებთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, ამერიკის სასამართლოს თარჯიმანთა აქტის თანახმად, სასამართლოების ადმინისტრაციული ოფისის ხელმძღვანელმა უნდა შექმნას კონკრეტული პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომს გახდის სამართალწარმოებისას სერთიფიცირებულ და სხვაგვარად კვალიფიციურ თარჯიმნებს. შესაბამისად, ფედერალური სასამართლოები იყენებენ ადგილობრივი სასამართლოს თარჯიმანთა ბაზას, რომელშიც განთავსებულია თარჯიმანთა საკონტაქტო ინფორმაცია.

სასამართლოს ადმინისტრაციული ოფისი განსაზღვრავს თარჯიმანთა 3 კატეგორიას:

- სერთიფიცირებული თარჯიმანი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ადმინისტრაციული ოფისის სასერთიფიკატო გამოცდა.
- პროფესიულად კვალიფიცირებული თარჯიმანი, რომელმაც უნდა წარმოადგინოს ენის ცოდნის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტაცია:
  - ✓ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კონფერენციის ან სემინარის თარჯიმანთა გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენისა და სხვა სამიზნე უცხო ენის ცოდნას;

ან

- ✓ გაეროს თარჯიმანთა გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენისა და სხვა სამიზნე უცხო ენის ცოდნას.
- ენის მცოდნე/ *Ad Hoc* თარჯიმანი, რომლის კვალიფიკაციაც დოკუმენტურად ვერ დასტურდება, მაგრამ სასამართლო მიიჩნევს, რომ ის დამაკმაყოფილებლად ფლობს სასამართლო პროცესის თარგმნის უნარ-ჩვევებს. გასათვალისწინებელია, რომ ამ კატეგორიის თარჯიმანს მომსახურების გაწევაში ყველაზე დაბალი ანაზღაურება აქვს.<sup>45</sup>

<sup>44</sup> იხ. ვებ.გვერდი: <https://www.law.cornell.edu/uscode/text/28/1827>

<sup>45</sup> იხ. ვებ.გვერდი: <http://www.uscourts.gov/services-forms/federal-court-interpreters>



## რეკომენდაცია

სამართლიანი სასამართლო განხილვის თვალსაზრისით თარჯიმნის უფლებით ეფექტური სარგებლობა დაკავშირებულია სწორედ თარჯიმნის კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე წინამდებარე ნაშრომში მიმოხილული ქვეყნების რეგულაციების მაგალითზე, სასამართლოს თარჯიმნის ინსტიტუტის გაუმჯობესებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანი იქნებოდა გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- შემოდებულ იქნას სასამართლოს თარჯიმანთა სასერტიფიკატო გამოცდა და სასამართლოში თარჯიმნად დაიშვას მხოლოდ სერტიფიცირებული პირი, რომელიც სრულფასოვნად ფლობს სამართლებრივ ტერმინებსა და მათ მნიშვნელობას, აგრეთვე, იცნობს საქართველოს და იმ ქვეყნის კანონმდებლობასა და სასამართლო პროცედურებს, სადაც ოფიციალურ ენადაა გამოცხადებული თარჯიმნის მიერ შერჩეული უცხო ენა;
- დაინერგოს სასამართლოს სერტიფიცირებულ თარჯიმანთა ერთიანი რეესტრი;
- პერიოდულად დაიგეგმოს ტრენინგები სასამართლოს თარჯიმანთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო უნარ-ჩვევებზე და საკანონმდებლო სიახლეებზე.